სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“

აქციონერთა წლიური საერთო კრების

სხდომის ოქმი №01/2013

ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14
2013 წლის 16 მაისი, 11:00 სთ.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სს „კავკასრეესტრის“ ინფორმაციის თანახმად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ (შემდგომში – „ბანკი“) აქციონერთა წლიურ საერთო კრებას ესწრებოდნენ აქციონერები და აქციონერთა წარმომადგენლები, რომლებიც ფლობენ ხმის უფლების მქონე აქციებს 142 575 717 რაოდენობით, რაც სააღრიცხვო დღის, 2013 წლის 23 აპრილის მდგომარეობით შეადგენს ხმათა საერთო რაოდენობის 96,307157 %. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54–ე მუხლის მე– 5 პუნქტის თანახმად, აქციონერთა წლიური საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, ვინაიდან მას ესწრებოდნენ კაპიტალის 96,307157 % შესაბამისი აქციების მფლობელი აქციონერები. ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ 2013 წლის 24 აპრილს გამოქვეყნდა შეტყობინება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, საიტზე www.matsne.gov.ge.

ბანკის აქციონერთა წლიურ საერთო კრებას თავმჯდომარეობდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი არჩილ რესანის– ძე კონცელიძე.

ბანკის წესდების 5.8 პუნქტის თანახმად, დამსწრე აქციონერთა ხმათა უბრალო უმრავლესობით აქციონერთა წლიური საერთო კრების მდივნად არჩეული იქნა ლენა ბესიკის ასული ბაკურაძე.

კრებას ესწრებოდა ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი.

ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების თავმჯდომარემ, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა არჩილ რესანის–ძე კონცელიძემ წარმოადგინა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული (23.04.2013 წლის ოქმი № 4/2013, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების პუნქტი 1.1) ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების დღის წესრიგი:

1. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ დირექტორატის მიერ 2012 წელს გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ა.რ.კონცელიძე /

2. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2012 წელს გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ა.რ.კონცელიძე /
3. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ 2012 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გარე აუდიტორის Ernst&Young Audit LLC-ის 2012 წლის ანგარიშის განხილვის შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორი მ.ვ.მენთეშაშვილი/
4. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ 2012 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორი მ.ვ.მენთეშაშვილი/
5. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ 2013 წლის წლიური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად გარე აუდიტორის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორი მ.ვ.მენთეშაშვილი/

---

4. მოისმინეს: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორის მ.ვ.მენთეშაშვილის ინფორმაცია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ 2012 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ წესდების 5.10 პუნქტის «კ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
„მომხრე“ 142 575 717 ხმა
„მოწინააღმდეგე“ 0 ხმა
კენჭისყრისგან თავი შეიკავა 0 ხმა

დაადგინეს:

4.1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მოგებიდან, რომელმაც 2012 წლის შედეგების მიხედვით შეადგინა 3,755,389 (სამი მილიონ შვიდას ორმოცდათხუთმეტი ათას სამას ოთხმოცდაცხრა) ლარი, დივიდენდების გადასახდელად მიმართულ იქნეს 3,752,882.47 (სამი მილიონ შვიდას ორმოცდათორმეტი ათას რვაას ოთხმოცდაორი) ლარი 47 თეთრი.
4.2. გადახდილი იქნას 2012 წლის შედეგების მიხედვით დივიდენდები 0.02535 (ნული მთელი და 2535/100 000) ლარის ოდენობით სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ერთ აქციაზე.
4.3. განისაზღვროს დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად 2013 წლის 31 მაისი და დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად 2013 წლის 17 ივნისი.
4.4. დადგენილი იქნას დივიდენდების გადახდის ვადა – არაუგვიანეს 60 დღისა აქციონერის მიმართვიდან ბანკში.
4.5. ბანკის აქციონერებზე დივიდენდების გაცემა განხორციელდეს ლარში, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების გამოქვითვით.